საჭადრაკო ბლიც-ტურნირი ,,ბათუმის თასი''
ვეტერან მოჭადრაკეთა შორის

დებულება

ჩატარების ადგილი: ქ.ბათუმი, ვეტერანთა საჭადრაკო კლუბი ''ნონა''
14.12.2019 წ.

---

1. ტურნირის ორგანიზატორები: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;
   აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

2. ჩატარების სისტემა: ფიდეს წესებით - შვეიცარული, წრიული ან ოლიმპიური სისტემით. (მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე)
3. დროის კონტროლი: 10 წთ. დროის დამატების გარეშე.
4. მონაწილენი: ტურნირში დაიშვებიან 50 + (1969 წელს და 1969 წლამდე დაბადებულნი) ვეტერანი მოჭადრაკე ქალები და მამაკაცები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან.

5. რეგისტრაცია: 14 დეკემბრის 11.30 საათამდე.
6. ტურნირის დასაწყისი - 14 დეკემბერი, 12.00 სთ.

7. გამარჯვებულები: გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით. ორი ან მეტი მონაწილის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები განაწილდება ჩატარებული სისტემის მიხედვით შესაბამისი კოეფიციენტით. *აუცილებლობის შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი პარტიები.*
8. დაჯილდოება:
   1-3 ადგილზე გასული ვეტერანი ქალი და მამაკაცი მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო ტურნირის გამარჯვებული გახდება ''ბათუმის თასის'' მფლობელი. შეჯიბრების ყველა მონაწილეს გადაეცემა სიმბოლური საჩუქარი.